ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1413487

ნომერი: AR1239955

თარიღი : 25.07.2014

გაცემის თარიღი : 30.07.2014

გაცნობის თარიღი : 30.07.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 24 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 22 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ როზაქიძე პ/ნ 01005018491
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 171/7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 16.07.2014 წლის #1389828 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 25

ივლისს #AR1239955 განცხადებით მომართა ვლადიმერ რობაქიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 16.07.2014 წლის #1389828 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 16.07.2014 წლის #1389828 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ც. დადიანის ქუჩა #24/ ქ. თბილისი, ც. დადიანის ქუჩა #22–ში, ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა "დადიანის 24"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01. 12.12.034.012) შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში არასწორად აისახა საერთო ფართობისა და მასში შემავალი ცალკეული ფართების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ, საერთო ფართობი 8186.53 კვ.მ–ს ნაცვლად შეადგენს 8093.04 კვ.მ.–ს, საცხოვრებელი ფართობი 5779.51 კვ.მ–ს ნაცვლად შეადგენს 4993.52 კვ.მ.–ს, კომერციული ფართობი 1273.91 კვ.მ–ს ნაცვლად შეადგენს 1288.63 კვ.მ.–ს, საზაფხულო ფართობი 122.17 კვ.მ–ს ნაცვლად შეადგენს 774.61 კვ.მ.–ს, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 586.34 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 620.92 კვ.მ.–ს, დამხმარე ფართობი 21.84 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 39,54 კვ.მ.–ს, ხოლო ავტოსადგომის ფართობი 402.76 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 375,82 კვ.მ.–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში და ვინაიდან, ცალკეული ფართების გასწორებული მაჩვენებლების ჯამი შეესაბამება განმცხადებლის მიერ მითითებული საერთო ფართობის მაჩვენებელს, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 16.07.2014 წლის #1389828 ბრძანებაში და საერთო ფართობად მიეთითოს 8093.04 კვ.მ., საცხოვრებელი ფართობად დაფიქსირდეს 4993.52 კვ.მ., კომერციული ფართობად მიეთითოს 1288.63 კვ.მ., საზაფხულო ფართობად მიეთითოს 774.61 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდეს 620.92 კვ.მ., დამხმარე ფართობად მიეთითოს 39,54 კვ.მ., ხოლო ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 375,82 კვ.მ.
2.წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 16.07.2014 წლის #1389828 ბრძანებასთან ერთად;
3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.